ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი პირველი

ტფილისი
1918 წ.
კვირა 22 დეკემბერი.

№ 4.

# რესპუბლიკის ჯარი

ყოველ-კვირეული ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“
(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).

ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით.

ჟურნალი წლის დამლევამდე ღირება 5 მან., ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალოუბნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — ჟურნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

## შინაარსი:

1) მოწინავე **გ. გიორგაძე**
2) ჯარის კაცს **ივ. გომართელი**
3) სამხედრო მინისტრის ბ. გრ. გიორგაძის სიტყვა
4) კვირეული მიმოხილვა **ვ. მოძველი**
5) საუბარი ჯ. კაცთან (ფელეტონი). **ივ. გომართელი**
6) წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე.
7) ოფიცერთა საკითხი ჯარში **ი—ძე**
8) ახალ ჯ.-კაცთა სწავლების ვადა. **გენ. იმნაძე**
9) საქართველოს მთავრობის განცხადებიდან.
10) საფრანგეთის მთავარი შტაბი
11) გლეხთა მოძრაობა სამურზაყანოში **იოსავა**
12) საქართველოს პარლამენტის სამხედრო კომისიაში.
13) საზღვარ-გარეთ და ჩვენში
14) ქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სამხედრო ჟურნალი
# „რესპუბლიკის ჯარი“.

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)


## ოფიციალი განყოფილება.

### ბრძანებები

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

12 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 90.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 12 დეკემბრის დადგენილებათა დამატებად ვაცხადებ, რომ ოფიცერთა ხარისხზე აყვანა და დაჯილდოვება ძველი ნორმებით შეწყვეტილია და სანამ საქართველოს ლაშქრის სამხედრო-მსახურთა ხარისხზე აყვანის და დაჯილდოვების საერთო წესი შემუშავებული იქმნებოდეს, შემდეგ ხარისხზე აიყვანებიან მხოლოდ ის ოფიცრები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ან გამოიჩენენ საქართველოს მტრებთან ბრძოლაში, ან რომელთა სასახელო მოქმედება ჯარის აღზრდა-გაწრთვნის საქმეში სათანადო უფროსებისაგან დადგენილი წესით იქნება დადასტურებული.

№ 91.

12 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

§ 1.

გენერალურ შტაბის საოპერაციო განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ზაქარიაძემ—მოხსენებით შემატყობინა, რომ 30 ნოემბრიდგან დროებით შეუდგა სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის თანამდებობის შესრულებას.

§ 2.

პირველ დივიზიის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ართმელაძემ, დეპეშით 30 ნოემბრიდგან № 2387 მომახსენა, რომ სამსახურის მოთხოვნილების გამო გაემგზავრა ქ. ფოთში, და თავის მაგივრათ დასტოვა პირველი საარტილერიო ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი ამირეჯიბი.

12 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 92.

მოდარაჯე ასეულის უმცროსი უნტერ-ოფიცერი კლემენტი კორძაია და ჯარის კაცი რომანოს გოგლიძე გადაყვანილი არიან: 1-ლი სატელეგრაფო ასეულში, მე-2 - სანაპირო სადარაჯო შტაბში.

13 დეკემბერი 1918 წ. ქალ. ტფილისი.

№ 93.

1-ლ ქრისტეშობისთვეს ამა წლისა ჯარის კაცი სამხედრო სამინისტროს სადარაჯო ასეულის ბაგრატ ვაშაყმაძე, რომელიც მივლენილი იყო სამინისტროს საერთო განყოფილებაში მორბედად და პაკეტების დამტარებლად თავისი პირდაპირი მოვალეობის აღსრულების დროს სასახლის ქუჩაზე მოჰყვა ავტომობილს და მიიღო სერიოზული ჭრილობები. როდესაც მოუნდომეს საავათმყოფოში გაგზავნა ის არ დასთანხმდა და განაცხადა: „მომეცით ჩემი გაფანტული პაკეტები, სანამ მე იმათ არ მივიტან სადაც რიგია საავათმყოფოში არ წავალ, თუნდაც მოვკვდე,“ და დასახიჩრებულმა კიდეც მიიტანა ეს პაკეტები სამინისტროში. ეს ფაქტი დამტკიცებულია იქ მყოფ დამსწრეთაგან, რომელთ შორის ამისთანა მოვლენამ სიბრალულთან ერთად საზოგადო აღტაცება გამოიწვია.

ჩვენ სამშობლოს ყოველთვის და განსაკუთრებით მის აღმშენებლობის პროცესში—ესაჭიროება ასეთი შეგნებული მოქალაქე-ჯარისკაცი, რომელსაც ესმის თავისი მოვალეობა, პირნათლად ასრულებს მას და თუ საჭიროება მოითხოვს მზად არის მსხვერპლად მიიტანოს მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს საკეთილდღეოდ. გულითადს მადლობას ვუცხადებ ხსენებულ ჯარის-კაცს ასეთი თავდადებისათვის და ამყავს ის უმცროსი უნტერ-ოფიცრის ხირისხზე, აგრეთვე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მადლობა გამოუცხადო მის პირდაპირ უფროსებს, რომლებმაც ჩაუნერგეს ხსენებულ ჯარის-კაცს მოვალეობის უკანასკნელ შეძლებამდის შესრულების შეგნება.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

9 დეკემბერი 1918 წ.

№ 94.

**ინიშნებიან:** გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიაში საინტენდანტო ღაწესებულებათა რევიზიის მოსახდენათ პოლკოვნიკი გორალევიჩი და კაპიტანი შუმისლავსკი, როგორც მცოდნეპირნი სამხედრო სამეურნეო ნაწილისა, სარგოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეში პირველს 30 მანეთი, მეორეს 25 მანეთი, ორთავე ამ წლის 9 დეკემბრიდან.

ც ნ ო ბ ა: მოხსენება გენერალ-მაიორ მაჭავარიანისა 1918 წ. 7 დეკემბრიდან № 58.

16 დეკემბ. 1918 წ, ქ. ტფ.

№ 95

არსებული პირობების გამო, საგანგებო განკარგულებამდის, მუშაობა ყველა ჩემდამი რწმუნებული უწყების განყოფილებაში სამმართველოებში და დაწესებულებებში წარმოებდეს უქმე დღეებშიც. ყოველ დროს შტაბებში, სამმართველოებში და განყოფილებებში უნდა ინიშნებოდეს მორიგე ხარისხოსნები დღე და ღამ.

16 დეკემბ. 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 96

პარლამენტის კომისიები აღნიშნავენ, რომ მათ სხდომებს კანონპროექტების განხილვის დროს ხშირად უწყებათა წარმომადგენელნი არ ესწრებიან, ან საჭირო შემთხვევებში ამა თუ იმ საგნის ახსნა-განმარტებას და საჭირო მასალის მიღების საშუალებას. რომ ჩემდამი რწმუნებული უწყების მიერ წარდგენილი პროექტები დაუყონებლად ირჩეოდეს პარლამენტის სათანადო კომისიების მიერ, ვბრძანებ: სამხედრო სამინისტროს განყოფილებათა უფროსებმა აუცილებლად გზავნონ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტის კომისიებში, როცა უკანასკნელნი იხილავენ სამხედრო უწყების მიერ წარდგენილს კანონპროექტებს.

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

16 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 97.

§ 1.

ჯარის-კაცი სამხედრო სამისისტროს სამეურნეო რაზმის პარმენ როჲსია, გადაყვანილ იქმნას სამეურნეო რაზმიდან საავტომობილო გუნდში.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

16 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისში.

№ 98

ვბრძანებ დროებითი საოფიცრო საარტილერიო კურსების მსმენელთაგან შესდგეს სამთო 4 იარაღიანი ბატარეია, რომელსაც დაერქვას: ,,დროებითი საოფიცრო-საარტილერიო კურსების ოფიცერთა ბატარეა''

16 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 99.

შემჩნეულია, რომ ნაბდის ჩასაცმელს, რომელიც ეძლევა ჯარის ნაწილებს, ატარებენ კერძო პირებიც. სჩანს ამ ნაბდებს, რომელიც სახაზინო კუთვნილებაა, ზოგიერთები ყიდიან, უკან[illegible] და ყოვლად დაუშვებელია.

ვბრძანებ ჯარის ყველა უფროსებმა დაბეჯითებით თვალყური ადევნონ, რომ ჯარისკაცები ნაბდებს არ ჰყიდდენ და დამნაშავენი კანონიერ პასუხის გებაში უნდა იქნენ მიცემული. მოაწერა:

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

16 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 100.

§ 1.

ამასთან ერთათ ვაცხადებ უწყებათა შორის სიას ქონების განაწილებისას: საინჟენერო უწყებამ უნდა მიაწვდინოს ტეხნიკურ ჯარს, ქვეითი, ცხენოსანს და არტილერიას: მათემათიკური, სანგარის სახელოსნოს იარაღები (ხის და ლითონის საქმისა, დაჭედვისთვის, სარაჯის, ფეჩის, ხიდების და მიწის მომუშავეებისთვის, მეთუნუქეს სამუშაოსთვის, მინის და მლესავ-მლებავისთვის). მოსაწყობათ ხიდების და სხვ. მასალეები.

ჭების მოსაწყობათ შესაფერი მასალები.

იარაღით და მასალით ხელოვნურ დაბრკოლებებისა.

განათებისათვის საჭირო სანათებით და სანთლებით.

სპეციალური საწიკავებით ორთვლიანით და დროგებით ურახტოთ.

პოზიციის გასამაგრებლათ მასალებით და იარაღით.

ასანთები შემადგენლობით: (გათბობა და განათება არ შედის).

ავტომობილით, თვითმფრინავით. ჯავშნიანი ავტომობილით, რადიო-ტელეგრაფით.

პროჟექტორით, სატელეგრაფო და სატელეფონო ქონებით.

ნაღმის სამუშაო იარაღით.

აფეთქებისათვის სამუშაო იარაღით და მანქანებით.

ოპტიკური ქონებით.

**ადმინისტრატიულმა განყოფილებამ უნდა მიაწვდინოს:**

სურსათი, ტანთსაცმელი, მოსართავი, საწიკავები გამოკლებით სპეციალური ორთვლიანით, რახტით რომელიც შეადგენს კუთვნილ საწიკავისას და რახტისას, ბინებით საცხოვრებლებით ჯარის კაცებისათვის, და გათბობის და სანათის მასალებით.

**საარტილერიო სექცია:**

შეიარაღება ყოველივე ჯურის იარაღებით ასაფეთქებელი შემადგენლობით, ყუმბარებით. ნაღმტყორცნელებით, ქიმიური ქონებით, სპეციალური საწიკით ურახტოთ დაუმატებლათ დანარჩენ მოწყობილობისა.

**საveტერინარო და სასანიტარო სექცია.**

ვეტერინარული და სანიტარული ქონებით· სპეციალური საწიკით დაუმატებლათ დანარჩენ მოწყობილობისა.

§ 2.

ეხლავე აიღოს ყველა უწყებამ ის ქონება, რომელიც შედის მის განკარგულებაში, მოუხდენელათ ფაქტიურ მიღებისა და თვით გასწიონ გასავლის ანგარიში ამავე ქონებისა. საპიროქსილონო საწყობი მისი ქონება და აგრეთვე პირადი შემადგენლობა მისი გადაეცეს არტილერიის სექციის უფროსის განკარგულებაში.

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 101.

გზათა სამინისტრომ ტელეფონოგრამით № 1137 მაუწყა, რომ იქ დაწესებულია ყოველ დღიური მორიგეობა სამინისტროში მოსამსახურე ხარისხოსნების საღამოს 9 საათამდი, საღამოს 9 საათიდგან დილის 9 საათამდი კი რესპუბლიკის რკინის გზის სამმართველოში. საჭიროების დროს უნდა გამოიძახოთ გზათა სამინისტრო ტელ. 4-23 და რესპუბლიკის რკინის-გზის სამმართველო ტელ. № 90.

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ-მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

16 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 102.

ვინაიდან ნივთეულობის სიმცირე არის, ვბრძანებ შეაჩეროთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ჯარის გამგებლობაში და დაწესებულებებში ახლათ გაწვეულ ჯარისკაცებისათვის და ჯარისთვის იმ ფულის მიცემა, რომელიც ერგებათ მათ მიერ მოტანილ განსაზღვრულ ფორმის გამოსადეგ ნივთებისათვის შემდეგი ნუსხით თვითეულ ნივთზე.

| | | |
|---|---|---|
| მაზარა . . . . . . | 75 მან. | |
| სალაშქრო პერანგი . . | 53 ,, | |
| შარვალი . . . . | 40 ,, | |
| პერანგის ამხ. . . . . | 15 ,, | |
| პერანგი . . . . . | 15 ,, | |
| ფეხსახვევი . . . . . | 4 ,, | 50 კაპ. |
| რწყვილი ჩექმები . . . | 120 ,, | |
| რწყვილი ფეხსაცმელი . | 105 ,, | |

მოტანილ ნივთებზე ფულის გადახდა ხდებოდეს ნაწილების უფროსთა განკარგულებით, რომელნიც ფულის მიღების მოთხოვნილებით უნდა შევიდენ ადმინისტრატიულ განყოფილებაში დივიზიის და ბრიგადის უფროსების საშვალებით.

ზემოაღნიშნული საყურადღებოთ, სახელმძღვანელოთ და ამ ზომის ხალხში გასავრცელებლათ ცხადდება.

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

16 დეკემ. 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 103.

საომარ ასპარეზზედ მყოფი ლაშქარი სხვა და სხვა გარემოებით გამოწვეულ მიზეზთა გამო ბევრჯელ მოკლებულია ცხელ საჭმელს. რომ ასეთმა შემთხვევებმა არ ავნოს მეომართა ჯანმრთელობას, ვბრძანებ: საქართველოს ჯარის მომარაგების უფროსის მიერ ამა წლის 24 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული $1/2$ მისხალი ჩაის და 8 მისხალი შაქრის რაოდენობა გადიდებული იქმნეს ომის ასპარეზზედ მყოფ ლაშქრისთვის: ჩაისა $3/4$ მისხლამდის და შაქრისა 12 მისხლამდის.

განსაზღვრა ომის ასპარეზისა ზურგის ჯარისგან მიენდოს ლაშქრის მთავარ სარდალს.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

19 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 104

დამატებათ ბრძანებისა რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 95—ვბრძანებ: მუშაობა ყველა შტაბებში იწყებოდეს დილის 9 საათზე. ყველა უფროსები აღნიშნულს დროზე თავიანთ ადგილზე უნდა იყვნენ. მუშაობის შესრულების შემდეგ წასვლისას უფროსებმა უნდა გადასცენ მორიგ ხარისხოსნებს, თუ სად შეიძლება მათი ნახვა დღე და ღამის განმავლობაში. შინიდან წასვლისას კი უნდა გააგებინონ თუ სად მიდიან და სად შეიძლება მათი ნახვა.

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ-მაიორი მ დ ი ვ ა ნ ი.

19 დეკემბერი 1918 წ. ტფილისი.

№ 105.

გენ. მაქსიმოვის ყოფილ სალიკვიდაციო ნაწილის სარევიზიო კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს სამეურნეო ოპერაციის გამორკვევა, სამხედრო უწყებისადმი გამოცემულ ბრძანების № 172 შესაცვლელათ და განსამარტებლათ ვნიშნავ შემდეგ შემადგენლობით: თავმჯდომარეთ გენ.-მაიორ თეთრუაშვილს, წევრებათ გენ.-მაიორ იუდენიჩს, პოლკოვნიკ კვინიხიძეს, პოლკოვნიკ ხრუსტალიოვს,

პოდპოლკოვნიკ სვანიძეს, შტაბ-როტმისტრს აფაქიძეს და პორუჩიკ ეფრემიძეს.

ჩვენების ჩამოსართმევლათ—პოლკოვნიკ ლოსოვს, პოლკოვნიკ გერინოვს და ტიტულიარნი სოვეტნიკ ბელიავუევს, კომისიაში ინიშნება ერთი მეშანქანე ქალი.

კომისიის ვადა განსაზღვრულია მიმდინარე წლის 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე.

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ მაიორი მდივანი,

19 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 106.

§ 1.

თანახმათ საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სახელზე გამოცემულ 2 ნოემბრის ამა წლის № 73 თარიღით ბრძანების პირობებს მოვაგონებ უფროსთ და კომანდირებს სამხედრო ნაწილებისას, გამგეობებს, დაწესებულებებს და სამხედრო უწყების გამგეობათ რომ რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს წარმოუდგინონ ხოლმე სამხედრო ნაფიც მსაჯულთა სიები.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

17 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 107.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების სამხრეთის ნაწილი, დაწყებული სადგურ ნავთლუღიდან, გენერალ-მაიორ წულუკიძის გამგეობიდან გადაეცეს რესპუბლიკის რკინის გზების გენერალ-გუბერნატორ გენერალ ყარალაშვილის გამგეობაშიდ.

გენერალმა ყარალაშვილმა დაუყონებლივ მიიღოს ზომები აღნიშნულ ნაწილის დასაცველათ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

1918 წ. დეკემბრის 19.

№ 108.

უკანასკნელ დროს არის შემთხვევები, რომ ცალკე ნაწილების უფროსები აძლევენ სამხედრო მოხელეთ წინადადებას რკინის გზაზე მოგზაურობისა ,,ჯარის გადაყვანის დებულების'' კანონების სრული დარღვევით:

1. ობერ-ოფიცერთა და შტაბ-ოფიცერთა გადაყვანა, რომელთაც არ აქვთ უფლებები ცალკე ნაწილების კომანდირებისა, ხდებოდა არა მე-II კლასში, არამედ 1 კლასში.

2. წინადადების ტექსტში არ იყო ნაჩვენები სამხედრო მოხელეთა გადაყვანის მიზეზები.

ვიძლევი რა წინადადებას, რათა მტკიცეთ იქნეს დაცული ის წესები, რომელნიც ნაჩვენებია „ჯარის გადაყვანის დებულებაში, იმ პირთაგან, რომლებსაც უფლება აქვთ გადაყვანის დოკუმენტების მიცემისა, მოუწოდებ დივიზიის უფროსებს და აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც მასთან თანამდებობით თანასწორი არიან, მათდამი რწმუნებული ნაწილების, სამმართველოების და დაწესებულებების რევიზიის დროს, აუცილებლად გადაშინჯონ გადასაყვან დოკუმენტების სისწორე და შედეგი გამოაცხადონ დივიზიის ბრძანებაში

სამხედრო მინისტრის მაგიერ
გენერალ მაიორი მდივანი.

19 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 109.

ვუბრძანებ სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილების უფროსს დაუყონებლად შედგენილ იყოს სასანიტარო მატარებელი № 116

19 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 110.

ვიდრე მიღებულ იქნებოდეს საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტი სამხედრო სამინისტროს საიურისკონსულტო სექციისა, პირველ დეკემბრიდან ვამტკიცებ ზემოხსენებული სექციის დროებით შტატს ამ ბრძანებასთან და ნართად გამოქვეყნებულს.

**დამატება ბრძანებისა რესპუბლიკის ჯარების მამართ № 110**

დროებითი შტატი სამხედრო სამინისტროს საიურისკონსულტო სექციისა

| სახელწოდება ხარისხნებისა | რიცხვი ხარისხოსნებისა | ჯამაგირი თვეში მანეთობით. | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| იურისკონსულტი . | 1 | 1300 | |
| მისი თანაშემწე . . | 1 | 900 | |
| იგივე საქმის . . . | | | |
| მწარმოებელი . . . | | | |
| მწერალი . . . . . | 1 | 400 | |
| შიკრიკი . . . . . | 1 | 250 | |
| სულ . . | 4 | 2850 | |

19 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 111.

თანახმათ სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსის შუამდგომლობისა ვბრძანებ: საბეითლო განყოფილებაში გაუქმებულ იქმნას უფროსის თანაშემწის და კანცელარიის მმართველის თანამდებობანი და დაარსდეს მათ მაგივრათ ერთი თანამდებობა მინდობილობათათვის ბეითლისა, რომელმაც უნდა აწარმოოს საკანცელარიო საქმეებიც.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე

# არა ოფიციალი განყოფილება

**თბილისი, 22 დეკემბერი.**

**საქართველოს ხალხისადმი.**

მოქალაქენო! ომის და რევოლიუციის დროს პირველ რიგში თქვენ იდექით და ბრძოლითა და სისხლით იკაფავდით გზას თავისუფლებისაკენ.

თქვენმა რაინდობამ და კლდე გულმა დაამსხვრია მონობის ბორკილები და საქართველოს ცაზედ ამობრწყინდა მზე თავისუფლებისა.

თქვენ მიერ არჩეული და თქვენის ნდობით აღჭურვილი მთავრობა მხნეთ და მტკიცეთ შეუდგა ყოველივე იმის განხორციელებას, რაც დაავალეს მას რევოლიუციამ და მისმა მედროშეებმა.

ორგულიც-კი იტყვის, რომ უზარმაზარი რუსეთის სივრცეზედ ერთად ერთი საქართველოა, სადაც ხალხმა და მისმა მთავრობამ გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შექმნეს საშინელ პირობებში სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ქარიშხლის ტალღებში დაამყარეს ერთგვარი წესიერება და მშვიდობიანობა.

საქართველო სულ რამოდენიმე თვეში გადაიქცა სახალხო რესპუბლიკათ; ლამპარი თავისუფლებისა, თანასწორობისა, ხალხთა შორის სრული ძმობისა და სოლიდარობისა დაინთო შიგ და ჩვენი სამშობლოს დიდების განთიადი უკვე გამოჩნდა.

**მოქალაქენო!** მტერს შეშურდა, მტერმა ველარ მოისვენა; მან მოინდომა ამ ლამპარის ჩაქრობა, ჩვენი რესპუბლიკის დაღუპვა.

ჩვენს მთავრობას არც სურვილი ჰქონდა და არც დრო სხვას შედავებოდა. ჩვენი მთავრობა მთელ თავის ძალღონეს ალევდა ახალი ცხოვრების აშენებას ხალხის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ; მეზობლებთან კი სრული მეგობრული ურთიერთობის გამტკიცებას ცდილობდა.

სწორეთ ამდროს მოგვეპარა მტერი ქურდულათ და მუხანათურათ ზურგში ჩაგვცა ხანჯალი.

ეს მტერია სომხეთის მთავრობა.

მოქალაქენო! თქვენ კარგათ იცით, ვის ხელშია დღეს ეს მთავრობა.

ესენი არიან ის პირები, რომლებსაც ყველგან შხამი და მტრობა შეაქვთ და რომლებიც თვით სომხის ერს დაღუპვისკენ მიაქანებენ. აი ამ მტერმა მოინდომა დღეს ჩვენი სამშობლოს და ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

თუ ამ მტერმა გაიმარჯვა, იცოდეთ, უნდა გამოეთხოვოთ მაშინ რესპუბლიკას, სამშობლოს, თავისუფლებას და თანასწორობას.

ეს კიდევ ცოტაა: შერცხვენილებს, თავლაფდასხმულებს ყველა პირში ჩაგაფურთხებსთ და გეტყვისთ,—შორს ჩვენგან, თქვენ ღირსი არა ჰყოფილხართ თავისუფლებისათ.

**საქართველოს რესპუბლიკის არწივებო!** შემოერბით თქვენი მთავრობის გარშემო და დაანახვეთ მუხანათ მტერს, რომ თქვენ ჭკანგებს შეუძლიათ დღეს თქვენი სამშობლოს და თავისუფლების მტერთა დაფლეთა.

აინთეთ ცეცხლით გული, გაიმსჭვალეთ ერთის ფიქრით და ერთის გრძნობით და მედგრათ, ელვის სისწრაფით ეკვეთეთ თქვენი თავისუფლების მტერს ქართველურათ, მამაცურათ, როგორც შეშვენის ჭეშმარიტ დემოკრატებს და რევოლიუციონერებს.

**მოქალაქენო! მობილიზაცია გამოცხადებულია და ჩვენი მთავრობა იწვევს რესპუბლიკის და თავისუფლების დასაცავათ 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში დაბადებულ გმირებს.**

მაგრამ გვწამს, რომ თქვენ შორის გმირები გაცილებით მეტია.

თქვენი შეგნება, თქვენი სინიდისი და რევოლიუციის ქარცეცხლში გაკაჟებული გული გეტყვით თქვენ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს, გაითვალისწინეთ ის მონობა და საშინელი დამცირება, რომლითაც გემუქრებათ ავაზაკურათ შემპარავი მტერი.

მოიგონეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეწირულთა წმინდა საფლავები და თქვენ თვითონ დაინახავთ, თუ რა არის დღეს თქვენი წმინდა, თქვენი ღვთიური მოვალეობა.

სწრაფათ გაჩნდებით ყველა, ვისაც მთავრობა გიწვევთ ჯარში სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავათ, **სხვები კი მოხვალთ მოხალისებათ,** რომ საერთო ძალღონით და ერთის დაკვრით გაუქარწყლოთ მტერს მისი იმედები.

**მოქალაქენო!** სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ არავითარ მტერს მისი დამარცხება არ შეუძლია!

დღეს გამოჩნდება, რამდენათ გიყვართ სამშობლო და თავისუფლება.

გამარჯვება, დიდება და უკვდავი სახელი სამშობლოსა და თავისუფლებისათვის შეუპოვარ მებრძოლებს!

საქართველოს რესპუბლიკის
სამხედრო მინისტრი **გ. გიორგაძე.**

---

# ჯარის კაცს.

**ჩვენო ჯარისკაცო!** გაიხედე: ახალი საფრთხე აღიმართა ჩვენი მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის წინაშე.

არარატის მდიდრებისა და კაციჭამიების, ძმათა სისხლის მღვრელების ჯარი თავს გვესხმის.

რა უნდათ, რა სწყურიათ მათ?

მათ უნდათ ჩვენი თავისუფლების მოსპობა,

მათ უნდათ ჩვენი სოფლების განადგურება ისე, როგორც მათ გაანადგურეს ჩვენი მეზობელი თათრების სოფლები.

მათ უნდათ ძმათა სისხლის ღვრა გამოიწვიონ ჩვენშიაც ისე, როგორც ეს ჩაიდინეს მათ ბაქოში, ოსმალეთში, სპარსეთში და ყველგან, სადაც კი მათ ფეხი შედგეს.

მშრომელი ხალხის თავისუფლება, მშრომელი ხალხის დაწინაურება, მშრომელი ხალხის გაბატონება არარატის მდიდრებისა და კაციჭამიებისათვის დამღუპველია.

ამიტომ მათ განუზრახავთ ჩვენი მშრომელი ხალხის ვარსკვლავი ჩააქრონ, მისი თავისუფლება, მისი ბატონობა მოსპონ და თვითონ გაბატონდნენ ძველებურათ, რომ მშრომელი ხალხის ოფლით და სისხლით ჯიბეები ისქელონ.

ჯარის კაცო! თუ მათ გაიმარჯვეს, იცოდე, ყოველივეს დაჰკარგავ შენც, ჩვენი მშრომელი ხალხიც და გახდებით სამარცხვინო მონა არარატის მდიდრებისა და კაციჭამიებისა.

ასეთ დამცირებას, ასეთ სირცხვილს სიკვდილი ათასწილათ სჯობია.

• ჯარის კაცო! ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის იმედო, ხმალს იკარ ხელი!

შენი მშობელი, შენი აღმზრდელი მშრომელი ხალხი შენ მოგჩერებია, შენ ხარ დღეს მისი იმედი, მისი სასოება.

ნუთუ შენ დაადგავ მას საშინელ და სამარცხვინო მონობის უღელს? არასოდეს, შენ ამას არ იზამ.

არარატის კაციჭამიები ვერაგულათ, მოტყუებით თავს დაეცენ შენს ძმებს, ჩვენს ჯარის კაცებს და ყელები დასჭრეს მათ.

ნუთუ შენ შეარჩენ შენი ძმების, შენი ამხანაგების წმინდა სისხლს ასეთ ვერაგ, ასეთ თავხედ მტერს? არასოდეს, შენ ამას არ იზამ.

ქართველო ჯარის კაცო! შენი სამშობლო, შენი მშრომელი ხალხი, დღეს შენსაგან გმირობას ითხოვს.

გასწი წინ! დეე შენმა ბასრმა ხმალმა და შეუპოვარმა გულმა ერთხელ კიდევ შემუსროს შენი თავისუფლების თავხედი მტერი, და დაუმტკიცოს მას, რომ თავისუფლება რაკი ხელში ჩაგივარდა, ვეღარავინ გამოგგლეჯავს მას, გინდა არარატიდან მოვიდეს ის, გინდა ჯოჯოხეთიდან.

გაუმარჯოს ჩვენი რესპუბლიკის იმედს, ჩვენი თავისუფლების მუშაკს! გაუმარჯოს ჩვენს ჯარს!

**ივ. გომართელი.**

---

## სამხედრო მინისტრის ბ. გრიგოლ გიორგაძის სიტყვა.

**(პარლამენტი, 17 დეკემბერი)**

მოქალაქენო! მას შემდეგ, როცა თავის სურვილი პარლამენტმა წარმოსთქვა, და ეს სურვილი აქ მოვისმინე, თამამად შემიძლიან გადავსცე იმ ჯარს, რომელიც ჩვენ საზღვრების დასაცავად მიდის,— რომ მთელი ქართველი ერი, მთელი დემოკრატია მასთან არის, და მხარს დაუჭერს მას, ამ მძიმე პირობების ბრძოლის დროს, რომელიც დღეს არსებობს. (მხურვალე ტაში: „გაუმარჯოს საქართველოს ჯარს!‘‘)

დამერწმუნეთ, რომ ამ ახალგაზდა ჯარმა ამ სამ დღის განმავლობაში დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თავისი მკერდი მიუშვიროს მოწინააღმდეგის ტყვიას.

ეს დაამტკიცა მან იმით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ დღის განმავლობაში იგი იმყოფებოდა აუტანელ პირობებში, რომელთაც სხვა ვერ აიტანდა, და დაიღუპებოდა,— მან გაარღვია წრეები მოწინააღმდეგეებისა და მებრძოლი თავდადებით, ქართველურად სამშვიდობოს გამოვიდა! (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში. გაუმარჯოს! გაუმარჯოს!) გამოვიდა სამშვიდობოს, იმიტომ რომ ეხლა ახალი ძალა მოიკრიბოს!

სასიქადულოდ ჩვენი ჯარისა უნდა ითქვას, რომ ამ ჯოჯოხეთურ პირობებში თუმცა ბევრი დაიღუპა, მაგრამ არც ზურგი მტრისთვის არ უჩვენებია! (მხურვ. ტაში),

ეს უტყუარი საბუთი არის, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი, ჩვენი სახალხო გვარდია, ჩვენი მუშები, გაემგზავრნენ ერთად დღეს, ჩვენი საზღვრების და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ისინი შესძლებენ თავის მოვალეობა შეასრულონ პირნათლად თავისი სამშობლოსა და თავისი დემოკრატიის წინაშე!

ეს თქენი ხმა, ეს თქვენი გამოძახილი, რომელიც მას მისწვდება, ისეთი გამოძახილი, რომელიც მთელს საქართველოს მოეფინება, ეს არის უმთავრესი გამამხნევებელი ძალა. ეს არის ზნეობრივი ძალა, რომელიც ერთად ამ ფიზიკურ ძალასთან, რომელიც ფრონტისკენ მიემგზავრება, შესძლებს ფიზიკურ და ზნეობრივ ძალასთან ერთად შედუღებული—დაიცვას ჩვენი თავისუფლება, და დამოუკიდებლობა! („გაუმარჯოს საქართველოს!“ მხურვალე ტაში. საბჭო ფეხზე ადგომით აცილებს სამხედრო მინისტრს).

## კვირეული მიმოხილვა.
(შინ და გარეთ.)

ჩვენი ამ კვირეული მიმოხილვა შორიდან უნდა დავიწყოთ. დღევანდელი მომენტი გვავალებს ჩვენს ძველს, წარსულს ერთ წუთს თვალი გადავავლოთ და ისტორიული მცირე მიმოხილვა გავსწიოთ.

საქმე ისაა, რომ ეს გასული კვირა საქართველოსათვის უაღრესათ მნიშვნელოვანი და მძიმეა.

საქართველოს ცხოვრებაში შემოიჭრა ისეთი მოვლენა, რომელმაც მოისურვა ძმობა-ერთობის და ერთა სოლიდარობის გადალახვა. და საქართველომ გადასდგა მტკიცე ნაბიჯი ამ მოვლენის გასაქარწყლებლათ.

საქართველოს რესპუბლიკას ვერაგულათ თავს დაესხენ. ჩვენს ქვეყანას მუხანათურათ მოუხტენ. და მერე ვინ?

— ჩვენი მეზობელი — სომხეთი.

ჩვენ სომხეთს მშვიდობიანობაზე ველაპარაკებოდით — მან კი იარაღი აალაპარაკა.

ჩვენ სომხეთს ძმურათ ხელს ვუწვდიდით, — მან ხელის მაგივრათ ხმალი მოგვაგება.

ჩვენ მორიგებით გვსურდა გადაგვეჭრა ყველა სადაო საკითხი, — მათ მზაკვრულათ გამოილაშქრეს.

და ეს იმ დროს, როდესაც ამისათვის საქართველოს ერთი ბეწვი მიზეზიც არ მიუცია. და ეს მაშინ, როდესაც საქართველო მთელ თავის ძალღონეს ხმარობდა, რომ მეგობრულათ მოეგვარებია მთელი საქმე და განემტკიცებია ის მეგობრობა, რომელიც წარსულში საქართველოსა და სომხეთს მუდამ ქონდათ. ჭეშმარიტების ცოცხალი ფაქტები ღაღადებს, რომ საქართველოს არც წარსულში და არც დღეს სომხეთისათვის ცუდი არასოდეს არ უქნია.

ისტორია თამამათ გვეუბნება: რომ საქართველო მუდამ იყო სომხებისათვის მზრუნველი ძმა, რომ სომხები ჩვენში ჰპოებდენ თავის სიცოცხლის და ცხოვრების უზრუნველყოფას. მაგრამ ვერ დავმალავთ იყო ერთი რამ, რომელიც ყურადსაღებია. და ეს იყო მეთორმეტე საუკუნეში:

,,1123 წელში დავით აღმაშენებელს სთხოვეს ხომხეთის წარმომადგენლებმა მიეღო ანისი (სომხეთის დედაქალაქი) თავის მფარველობის ქვეშ. ანისის გამგეთ იყო იმ დროს მუსულმანინი აბულსოვარი. დავითმა შეუსრულა მათ თხოვნა და 60.000 ჯარისკაცით უბრძოლველათ დაიკავა ანისი. სომხთა სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მათი მესტორიეთა სიტყვით, ამისთანა ბედნიერი დღე სომხებს ჯერ არ ენახათ. მათივე მოწმობით, დავითი სამაგალითო კაცთმოყვარეობით ექცეოდა სომხებს და სხვა‘‘. ამასთანავე მთელ ისტორიის გზაზე მუდამ მეგობრული განწყობილება არსებობდა და ამ უკანასკნელ ხანაში ქართველი დემოკრატია მუდამ ხომ იმას სცდილობდა, რომ სომხეთის დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირი დაეჭირა! მაგრამ სომხეთის სისხლმწყურვალე მთავრობამ მთელი ღონე იხმარა, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის განხეთქილება მოეხდინა და ბრძოლა აეტეხა.

## საუბარი ჯარის-კაცთან.
II.

პირველ წერილში ჩვენ შევჩერდით ჩვენი რესპუბლიკის შინაარსზე და ახლა კი უფრო ვრცლად განვიხილოთ ის.

წარმოიდგინე რაიმე თიხის ჭურჭელი, თუნდა დოქი; აი ამგვარ ჭურჭელში ყოველგვარი სითხე მოთავსდება და დაკავდება: წყალი, ღვინო, რძე, ძმარი, ზეთი და სხვა.

ამგვარსავე ჭურჭელს შეგიძლია შეადარო სამშობლო. ის ერთგვარი ჭურჭელია, რომელშიაც სხვა და სხვა წყობილება თავსდება.

რაზედ არის ეს დამოკიდებული?

—იმაზედ, თუ ვის ხელშია ეს ჭურჭელი, ან ვინ არის მისი ბატონ-პატრონი. ვთქვათ, დოქში აყროლებული წყალია. მერე შენ უნდა აიღო ქვა და გატეხო დოქი?

არა, უნდა გადაღვარო აყროლებული წყალი, გამოასუფთაო დოქი და შიგ ჩაასხა სუფთა წყალი.

აქედან მე აი რა მინდა გაგაგებინო; სამშობლოში ათასი უვარგისი წყობილება იყოს, ის უნდა დაიფარო შენის გულმკერდით, ჩემო ჯარისკაცო, როდესაც მას გარედან მტერი ემუქრება.

რატომ?

იმიტომ რომ თუ სამშობლო გექნა, იმისი ცუდი წყობილება რომ კარგათ შეიცვალოს, ამას კიდევ მოესწრები, ისე როგორც აი ჩვენ ყველანი მოვესწარით დღეს.

ხოლო თუ სამშობლო დაჰკარგე, მაშინ სადღა უნდა აშენო უკეთესი ცხოვრება, უკეთესი წყობილება?

ამიტომ რანაირიც უნდა იყოს სამშობლო თვისი შინაარსი და წყობილებით, დემოკრატია მას იცავს გარეშე მტრისაგან, ამავე დროს კი ის ცდილობს, სამშობლოს შიგნით ცხოვრება ისე მოაწყოს, ისე გარდაქმნას, როგორც ეს ხალხისთვის არის გამოსადეგი და სასარგებლო.

ცხადია, რაც უფრო შეეფერება სამშობლო თვისი შინაარსი წყობილებით მთელი ხალხის კეთილდღეობას, მით უფრო ძვირფასია ის იმ ხალხის ყოველი ჭეშმარიტი შვილისათვის. ჩვენი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ რამოდენჯერმე მოიწვია სომხეთის წარმომადგენელნი კონფერენციაზე, რომელსაც სასაზღვრო საკითხები უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ ისინი არ მოვიდენ, არ მოისურვეს მოსვლა. . რადგან ფიქრობდენ იარაღით მის გადაჭრას. და ასტეხეს კიდეც ბრძოლა. დაესხენ თავს საქართველოს და საქართველოც გაიმართა, ზე წამოდგა. მთელი მთავრობა, მთელი პარლამენტი, მთელი ხალხი მოემზადა ვერაგ მტერის დასახვედრათ, მართალი საქმის დასაცავათ. და ჯარი, გვარდია, მოხალისე — ყველა ერთი გრძნობით და სულით მიდის ბრძოლის ველზე: რომ **დაიცვას საქართველოს თავისუფლება. დაიცვას ქვეყნის სიმართლე. პასუხი გასცეს მომხტურ, მზაკვარ მტერს.**

და ყველამ, ვისაც შეუძლია იარაღის ტარება, ყველამ, ვინც მებრძოლი, მხედარია – უნდა გასწიოს ბრძოლის ველისაკენ, სადაც უნდა გაამარჯვებიოს საქართველოს სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ დროშას. მთელი საქართველო, მთელი ხალხი ამისთვის უნდა ენერგიულათ მუშაობდეს, ყველა უნდა მივიდეს სამჭედლოში, სადაც მძიმე უროებით სამუდამოთ უნდა გამოიჭედოს საქართველოს თავისუფალი რესპუბლიკა ყველას საკეთილდღეოთ. გასულმა კვირამ საქართველოს დაცვის დროშის ქვეშ გაიარა და მომავალი კვირაც, გვწამს, ამასვე შეეწირება.

* *
*

საქართველოსთან შემაერთებელ ახალციხე-ახალქალაქის მაზრის ავანტიურისტი ბეგები, რომელთაც საქართველოს ჭეშმარიტი დემოკრატია ჭირივით ეზარებათ, ბათუმში გაიქცენ და იქ განაგრძნობენ თავის პოლიტიკას. ამ რამოდენიმე ბეგმა ბათუმში თავი ამ მაზრების კომისარიატათ გამოაცხადა და ინგლისელებს მემორანდუმით მიმართა. უბადრუგნი! თავის ქვეყანაში ნიადაგ გამოცლილნი ისინი ხავსს ეჭიდებიან და სურთ ხრიკული გზით თავისი ძველი მდგომარეობა შეინარჩუნონ. ტყვილი ცდაა! ახალციხის მაზრის გლეხობა უკვე მოითხოვს იქ საქართველოს პოლიტიკის განხორციელებას და განსაკუთრებით აგრარულ რეფორმების გატარებას. ეს რადიკალური ზომაა, რომლითაც მახვილი ჩაეცემათ განწირულ ბეგებს, და მათთან ბრძოლაში შეერთებული იქმნეს მთელი საქათველოს დემოკრატია.

* *
*

მძიმე დროებითი. საზავო პირობები, რომელიც გამარჯვებულმა შეთანხმების სახელმწიფოთა პოლიტიკამ თავს მოახვია დამარცხებულ გერმანიას, სისრულეში მოდის.

რევოლიუციონური გერმანია გრძნობს მთელ ამ სიმძიმეს და მისი თვალიც მოპყრობილა საერთო საზავო კონფერენციისაკენ, რომელიც უკანასკნელი ცნობის მიხედვით, იანვარში უნდა დაიწყოს. ამ მოლოდინში გერმანია აშენებს და ამტკიცებს თავის დემოკრატიულ რესპუბლიკას ეროვნული კრებების შემწეობით და არ გადადის იმ ხვეულ გზაზე, რომელსაც ქვეყანა უფსკრულში მიყავს, ისე როგორც ეს მოხდა რუსეთში: სოციალდემოკრატიის უმრა-

---

შობლო დღეს მშრომელი ხალხის, დემოკრატიის სამშობლოა, რადგანაც მისი შინაური ცხოვრება დემოკრატიის საკეთილდღეოთ ეწყობა. შენ კი, ჩემო ძვირფასო, ჭეშმარიტი შვილი ხარ.

ამიტომ განსაკუთრებულის სიყვარულით გიყვარდეს, განსაკუთრებულის სიმტკიცით უნდა იცავდე მას.

შენ იცი, ჩემო კარგო, რომ რევოლიუციამდე ჩვენი სამშობლოს ბატონ პატრონი თვითმყრობელი მეფე და მისი მთავრობა იყო. ისინი ისე მართავდენ და განაგებდენ ჩვენ ქვეყანას, როგორც მათ უნდოდათ და მოუხდებოდათ.

ხალხს არა თუ არაფერს არ ეკითხებოდენ, სიმართლის თქმისათვის ხალხის საუკეთესო შვილებს ციხეში და ციმბირში ალპობდენ.

ასტეხდენ ომსა და დავიდარაბას, რომ სხვა სახელმწიფო გაეგლიჯათ თავისი ჯიბისათვის, შენ და შენისთანაებს კი უნდა ეღვარათ სისხლი და გამოთხოვებოდენ წუთი სოფელს.

რათა, რისთვის, ვისთვის?

— ხელმწიფისთვის, მთავრობისათვის, მდიდრებისათვის.

მე მესმის კაცმა თავი გასწიროს მთელი ხალხისათვის, ქვეყნისათვის, მაგრამ ხელმწიფისთვის, მდიდრებისთვის და მემამულეებისთვისეს ხომ სისულელეა!

და შენ, ჩემო მეგობარო, სჩადიოდი ამ საქმეს.

რატომ?

— იმიტომ რომ გიბრძანებდენ, არა?

შე კაი კაცო, შენც, შენც ავიღებდი და ნუ შეასრულებდი ამგვარ ბრძანებას.

— ჰეე რა ალხეინათ ლაპარაკობ!

რომ არ ამესრულებინა, ხომ იქვე დამხვრეტამდენო მეუბნეხი შენ.

ძალიან კარგი, ძალიან კარგი. მაშასადამე გშინებია და მიტომ ასრულებდი მათ ბრძანებას.

— დახვრეტა რომ მოგელის, მოდი და ნუ შეგეშინება, ამბობ შენ.

მაშ დავიხსომოთ, ჩემო კეთილო ჯარისკაცო, რომ შენ შიში გატანდა ძალას და ემორჩილებოდი ძველ მთავრობას.



**საქართველოს სამხედრო მინისტრი დარიალის ხეობაში**

1) **გ. გიორგაძე**—სამხ. მინისტრი. 2) **გენერ. გედევანიშვილი**—თანაშემწე სამხ. მინისტრისა, 3) **გერმანელი**—სამხედრო მინისტრის მრჩეველი, 4) **პოლკ. ზაქარიაძე**—შტაბის უფროსი, 5) **პოლკ. კაკაბაძე**—თანაშემწე სანაპირო ჯარების უფროსისა, 6) **პორ. აბხაზი**—ადიუტანტი სამხედრო მინისტრისა 7) **პოდპოლკ. ფურცელაძე**—დარიალის რაზმის უფროსი 8) **შტ.—კაპ. ფანჯავიძე**—ადიუტანტი დარიალის რაზმისა 9) **პორ. ყარანგოზიშვილი** 10) **პორ. მჟავანაძე** 11) **პორ. მგელაძე**—დარიალის რაზმის ოფიცრები.

ვლესობის ფრთის გამარჯვება საბჭოების კრებებზე აშკარათ გვიჩვენებს, რომ რევოლიუცია სწორეთ აქვს შეგნებული გერმანიის დემოკრატიას და ვფიქრობთ, რომ იგი არ დაბნელდება და განაგრძობს ბრძოლას იმ იმედით, რომ ევროპის დემოკრატია ამ ბრძოლაში მასთან იქნება.

* * *

ინგლისში უკვე დაიწყო თემთა პალატის არჩევნები. რას მოგვიტანს ეს არჩევნები და ვინ გაიმარჯვებს აქ, ამაზეა დამოკიდებული ევროპის სახელმწიფოებრივი დემოკრატიის გაძლიერება თუ დასუსტება და იგი დიდ როლს ითამაშებს მომავალ კონფერენციაზედ.

* * *

რუსეთი და უკრაინა კვლავ ანარქიაში იწვის მრავალი ფრონტი მის დახეთქილ გულზე მოქმედებას განაგრძობს და არ უჩანს ჯერ დასასრული ბრძოლას.

ვ. მოძველი.

---

აქ დასაძრახისი არაფერია; შენს ალაგას მეც აგრე მოვიქცეოდი ძალაუნებურათ.

ახლა გადაავლე თვალი ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს მთავრობას და ჩვენს წყობილებას. განა ეს მეფესა და იმის მთავრობას რითიმე მოგაგონებს.

სრულებით არაფრით.

ჩვენი სამშობლო დღეს წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, აქ ძალა და უფლება მთელი ხალხის ხელშია; ხალხმა აირჩია, ვინც მას სურდა, ვისაც ის ენდობოდა და ეს არჩეული პირები შეადგენენ საქართველოს პარლამენტს. ეს პარლამენტი იმუშავებს ისეთს კანონებს, რომლებიც მშრომელი ხალხისათვის იქნებიან ხელსაყრელი და გამოსადეგი. პარლამენტმა უკვე ჩამოართვა მიწები მემამულეებს, სულ მოკლე ხანში ახალ კანონით ეს მიწები უნდა გადაეცეს ღარიბ გლეხობას. პარლამენტის მიზანია, მთელი ჩვენი ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორც ეს საჭიროა მშრომელი ხალხისათვის, ეს საქმე, ასეთი გარდაქმნა ცხოვრებისა მეტათ ძნელია, ამას დიდი შრომა, დიდი ხარჯი უნდა და დიდი მოთმინება.

მშრომელი ხალხი უნდა ალიჭურვოს ახლა მოთმინებით, არ დაიშუროს თავისი წვლილი დაეხმაროს თავის მთავრობას და პარლამენტს როგორც საქმით, ისე ფულით და შეაძლებინოს ამ დიდი საქმის დაგვირგვინება.

ეს საქმე მშრომელი ხალხის საქმეა და თუ ჩაიშალა და ჩაიფუშა, მშრომელმა ხალხმა იკითხოს და იტიროს, თორემ სხვებს ძალიანაც გაუხარდებათ.

შენც უნდა ამოუდგე, ჩემო ჯარის კაცო ამ პარლამენტსა და მთავრობას გვერდში და იყო მათი ფრთხილი, დაუძინებელი დარაჯი, რადგანაც ისინი შენს საქმეს აკეთებენ, ისინი შენს შვილებს უმზადებენ ბრწყინვალე მომავალს.

არ იკითხავ, ჩვენი მთავრობა ვისგან შესდგება?

ხალხის საუკეთესო შვილებისაგან, რომლებსაც მრავალი მწარე დღე და წელი გაუტარებიათ ციხეებში და კატორღაში ხალხის გულისთვის, ისინი ებრძოდენ მეფეს, ებრძოდენ ძველ მთავრობას, იცავდენ ხალხის სვებედს და არა ჰზოგავდენ თავს.

რამდენი მათი ამხანაგი დაიხოცა და დაიღუპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები სხვა და სხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე.

**მექსიკა*)**

აღმასრულებელი უფლება მექსიკაში ერთს კაცს ეკუთვნის. ეს არის მექსიკის ფედერალური რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტი უნდა იყოს მექსიკის მოქალაქე, არა ნაკლებ 35 წლისა და ამასთანავე არ უნდა ეკუთვნოდეს სასულიერო წოდებას. მას ირჩევენ ოთხი წლით, არჩევანი ფარულია და არა პირდაპირი, ეს არის კონსტიტუციონური პრეზიდენტი, მაგრამ თუ ვინიცობაა მან დაჰკარგა თავის რწმუნებულება ან შეუძლებელია მისთვის თავის ვალდებულობის შესრულება, პალატების შეერთებული კრება—კონგრესი ირჩევს პრეზიდენტის მოადგილეს ან დროებით პრეზიდენტს, მაშასადამე მექსიკაში ორი პრეზიდენტი შეიძლება იყოს: ერთი ნამდვილი, კონსტიტუციონური, ხალხის მიერ არჩეული და მეორე არა კონსტიტუციონური, კონგრესის მიერ დანიშნული, პირველის სიკვდილის, გადადგომის ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დროს, კონსტიტუციონურ პრეზიდენტის არჩევამდე. პრეზიდენტი კონგრესის წინაშე ფიცს სდებს, რომ კანონიერათ და პატრიოტულათ აასრულებს მექსიკის პრეზიდენტის მოვალეობას.

პრეზიდენტს აქვს ვეტას უფლება საკანონმდებლო საქმეებში, აქ ისეთივე წესია, როგორც ჩრ. ამერიკის რესპუბლიკაში. თუ ხელ მოაწერს დაადასტურა კონგრესმა კანონი, იგი ძალაში შედის ყოველ შემთხვევაში.

პრეზიდენტი მართავს სახელმწიფოს თავის სახელმწიფურ მდივნების საშუალებით, რომელთაც თვითონ ნიშნავს. მას ეკუთვნის უფლება მოხელეების დანიშვნის, ჯარის და ნაციონალური გვარდიის ხელმძღვანელობის, საგარეო პოლიტიკის წარმოების, ომის გამოცხადებისა კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ, კონგრესის თანხმობით მინისტრების, დიპლომატიურ წარმომადგენლების დანიშვნის და სხ. პოლიტიკური პასუხისმგებლობა, როგორც ეს პარლამენტარულ ქვეყნებშია, არ არის. მთავრობის წევრები კონგრესს ცალ-ცალკე აძლევენ ანგარიშს თავის სამოქმედო ასპარეზის მდგომარეობის შესახებ.

ფედერაციის სამოსამართლო უფლებას ანხორციელებს უმაღლესი სამოსამართლო პალატა, უმაღლეს მოსამართლეთ ირჩევენ 35 წლის და უფრო ხნიერ მოქალაქეს არა პირდაპირათ, ექვსი წლის ვადით. უმაღლესი მოსამართლე უსათუოთ უფლების მეცნიერების მცოდნე უნდა იყოს.

თანამდებობის ასრულების დროს, პრეზიდენტს შეიძლება ბრალი დაედვას მხოლოთ სამშობლოს ღალატში, განზრახვით კონსტიტუციის დარღვევაში და სხვ.

უმაღლეს თანამდებობის პირთა დანაშაულის საქმეებს პალატა და სენატი განაგებენ: პირველი

*) იხ. ,,რ. ჯარი'' № 3.

---

ამ ბრძოლაში, მაგრამ ბოლოს სიმართლემ მაინც გაიმარჯვა.

კარგათ გახსოვდეს, ჩემო კეთილო, რომ სიმართლე ბოლოს და ბოლოს ყოველთვის იმარჯვებს.

ვსცან სიმოკლე ბოროტისა
კეთილია შენი გრძელი

ამბობს ჩვენი დიდებული პოეტი შოთა რუსთაველი.

და აი როდესაც ძველი მთავრობის ბოროტება დაიმსხვრა, ჩვენი ახალი მთავრობა, რომელიც მუდამ ხალხის ერთგული და თავდადებული დარაჯი იყო, დღეს უფრო მხნეთ და მტკიცეთ არ შეუდგება მშრომელი ხალხის ბედის მოვლას?

შეუდგა კიდეც, მხოლოთ მშრომელთა შვილებო, მშრომელთა კეთილის მყოფელნო, მშრომელთა გულშემატკივარნო, მშრომელთა ჭირისუფალნო, მშრომელთა ბედის მოტრფიალენო, შემოკრბით ჩვენი მთავრობის გვერდით, გაუადვილეთ მას ეს უდიდესი საქმე თქვენის თანაგრძნობით, **დახმარებით, თავგანწირვით, გმირული ყოჩინით.**

შენც ერთი ამათგანი ხარ, ჩემო ჯარისკაცო და ყველაზე უფრო მტკიცეთ შენ უნდა იდგე ჩვენი მთავრობის გვერდით, რადგანაც შენ ხარ მშრომელთა შვილი, შენ ხარ თვითონ მშრომელი და დღეს კი შენ რესპუბლიკის ჯარის კაცი—ახალი წყობილების, სახალხო წყობილების ბურჯი და სიმტკიცე.

თუ შენ გადრკი, თუ შენ დაიღუნე და გატყდი, იცოდე, დემოკრატიული რესპუბლიკა დაიღუპება, მშრომელი ხალხის საქმე ჩაიშლება და შენკი წყევლა და კრულვა აგეკიდება ზურგზე და სიკვდილის შემდეგაც აღარ მოგშორდება.

მაშ იყავი მტკიცე ვითარცა კლდე ჩვენი რესპუბლიკის და მისი მთავრობის დაცვაში.

ახლა არ იკითხავ, რა გააკეთა ჩვენმა მთავრობამ?

იმან გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა გაბალშევიკებული ჯარისაგან, რუსის ჯარი როცა ოსმალეთის საზღვრებიდან დაბრუნდა, იმას რომ აქეთკენ ექნა პირი, ისე გააოხრებდა ჩვენს ქვეყანას, რომ ნამდვილი მეორეთ მოსვლა დატრიალდებოდა.

ყოველთვის ბრალმდებელია, ხოლო მეორე — მოსამართლე.

კონსტიტუციის ნაწილობრივი თუ მთლიანი გადაშინჯვა ყოველთვის შესაძლებელია, თუ ეს გადაწყვიტა კონგრესის (ორივე პალატის) წევრთა ორმა-მესამედმა ($^{2}/_{3}$) და მოიწონა შტატების საკანონმდებლო კრებებმა.

რაც შეეხება შტატებს, რომელიც ფედერატიულ კავშირს წარმოადგენს მექსიკის რესპუბლიკა, მათ აქვსთ რესპუბლიკანურ – წარმომადგენლობითი ფორმა შინაური სახელმწიფური წყობილებისთვის.

მექსიკის ფედერაციაში შედის 28 ავტონომიური შტატი და ორი ეგრეთ წოდებული „ტერიტორია“. ტერიტორია შტატისაგან დიდათ განსხვავდება, მას არ აქვს თავის კონსტიტუცია და ემორჩილება კონგრესის და ფედერალურ მთავრობის გამგებლობას. („ტერიტორიები“ აქვს ჩ.-ა. შ. შტატებსაც).

ერთი შტატი, სახელდობ ვალდე-მექსიკო შეიცავს ტერიტორიას, რომელიც შეადგენს ფედერალურ ოლქს. აქ იმყოფება ფედერაციის უმაღლესი მთავრობა და გენერალური კონგრესი.

მექსიკა განუწყვეტელი ჯანყის და რევოლიუციის ქვეყანაა. იქ ძალიან ხშირათ იცვლება მართვა-გამგეობის ფორმა. ამ პოლიტიკური ისტორიის და მდგომარეობის ბეჭედი აზის საერთოთ მექსიკის რესპუბლიკის კონსტიტუციას. განსაკუთრებულ მუხლში კონსტიტუციის ხელუხლებლობაა აღიარებული, ნათქვამია, რომ კონსტიტუცია რჩება ძალაში, მიუხედავათ იმისა რომ, შინაურმა არეულობამ და აჯანყებამ შეიძლება დროებით კიდეც შეაჩეროს მისი მოქმედება. ამას გარდა კონსტიტუცია გულისხმობს, რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევის და საშიშროების დროს პრეზიდენტს ეძლევა უფლება დროებით შეაჩეროს ყველა საკონსტიტუციო გარანტია. ეს უზომოთ ზრდის პრეზიდენტის ძალასა და გავლენას.

ახლა განვიხილოთ კიდევ ამერიკის რამოდენიმე რესპუბლიკა: არგენტინა, ბრაზილია, ჩილი და სხ..

---

## ოფიცერთა საკითხი ჯარში *)

**სამხედრო სკოლის კურსი.**

წინა წერილებში ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით იმ დებულებებზე, რომელიც უნდა განხორციელდეს ახალგაზდათა სამხედრო სკოლაში მიღების დროს. ჩვენ დავასკვენით, რომ: სამხედრო სკოლაში უნდა იღებდენ იმ ახალგაზდათ, რომელთაც საშუალო სასწავლებელი, დასრულებული აქვთ. 2. სამხედრო სკოლაში მიღებამდე ისინი უნდა გაიწრთვნენ ჯარში 4—6 თვით, უმთავრესათ საბანაკო კრებულობის დროს. ამ ორი პირობის შესრულებით, ერთი მხრივ, ახალგაზდანი მთელ დროს მოანდომებენ სამხედრო მეცნიერების შესწავლას, მეორე მხრივ მასწავლებელს და სკოლის პერსონალს სწავლებისა და ახალგაზდათა რიგში გაწრთვნის საქმეს გაუადვილებს.

რა საფუძველი უნდა დაედოს სკოლის კურსის პრო

*) იხ. ჟურ, „რესპუბლიკის ჯარი“ № 3.

---

აი სწორეთ იმ ადამიანებმა, დღეს რომ ჩვენს მთავრობაში არიან, ამათ მოახერხეს ამ უბედურობის თავიდან აცილება და იხსნეს მარტო ჩვენი ხალხი კი არა, საქართველოს ყველა მცხოვრებნი ეროვნების განურჩევლათ ამ საშინელი განადგურებისაგან. ჩვენი მთავრობის შრომას, გონიერებას და გამჭრიახობას რომ არა, ოსმალები შემოესეოდენ თფილისის და ქუთაისის გუბერნიას, ააწიოკებდენ ჩვენს ხალხს, გააუპატიურებდენ ქალებს, დაიტაცებდენ ყოველისფერს. შეშინებული და თავზარდაცემული ხალხი გადიხვეწებოდა მთებში, ზოგი სად ჩაიხოცებოდა, ზოგი სად. ყანები და ვენახები ოხრათ დარჩებოდენ. თუ რამე მოვიდოდა, იმასაც ოსმალები წაიღებდენ და ჩვენი ხალხი, ვინც გადარჩებოდა, შიმშილით უნდა ამოწყვეტილიყო. ჩვენი ხალხი კი გარდა ჯავახეთისა და გურიის პატარა ნაწილისა არხეინათ ისხდა თავის სახლში და იმდენი მოსავალი მოიყვანა, რომ არა თუ თვითონა ჰყოფნის, ბევრსაცა ჰყიდის.

ვისი წყალობით?

**ჩვენი მთავრობის წყალობით.**

აბა დაეკითხე ჯავახელებს, რა დღე დაადგათ ოსმალების შემოსევით?

ეს დღე მოელოდა ჩვენს ხალხს ერთიანათ, რომ ჩვენს მთავრობას არ მიეღო ზომები.

ჩვენმა მთავრობამ გააუქმა წოდებები და გლეხი და თავადი გაასწორა.

ჩვენმა მთავრობამ ჩამოართვა მემამულეებს მიწები და სულ მოკლე ხანში ამ მიწებს გლეხები დაიმტკიცებს სრულ საკუთრებათ.

ჩვენმა მთავრობამ შემოიღო რვა საათის სამუშაო დღე...

ეს მარტო ნახევარი წლის განმავლობაში!

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, ის ღირსია გამარჯვებისა. ჩვენი მთავრობის გამარჯვება ჩვენი მშრომელი ხალხის გამარჯვება და კეთილდღეობაა.

გაგიმარჯოს შენ, ჩვენო ჯარის კაცო, რადგანაც ჩვენი მთავრობა შენზედ არის დაფუძნებული და შენის იმედით მუშაობს ის მხნეთ და დაუღალავათ.

**ივ. გომართელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამის გამომუშავებას და გძელვადიანი კურსის განმტკიცებას?

სამხედრო სკოლის მიზანია პირველათ ყოვლისა ჯარისათვის პრაკტიკული მომზადებულ ოფიცრების მომზადება, რომელსაც შეუძლიათ ჯარისკაცის აღზრდა-განსწავლა. ამავე მიზნით უნცროსი ოფიცერის მომზადება, რომელსაც შეეძლება ყოველ წუთს ასეულს უხელმძღვანელოს; ესე იგი, სამხედრო სკოლამ უნდა გამოუშვას ისეთი ოფიცერი, რომელიც ადვილათ გაერკვევა იმ ტაკტიკურ ამოცანებში, რომელიც წილათ ხვდება გუნდის უფროსს. მაშასადამე, სკოლის კურსი უნდა შესდგებოდეს ორი განყოფილებისაგან: **1**) წყობის მომზადება **2**) სამხედრო მეცნიერული მომზადება. ამით ჩვენ ერთი მეორეს არ ვაცილებთ ამ განყოფილებებს და არ ვფიქრობთ, რომ მეცადინეობა ცალცალკე, დამოუკიდებლათ უნდა მიმდინარეობდეს, პირიქით, მათ შორის უნცა არსებობდეს მჭიდრო კავშირი, ორივე განყოფილებაში მუშაობა ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შესაფერი ნაყოფის მიღება. ერთ რომელიმე განყოფილებაში მუშაობის გადამეტება მეორე განყოფილების საზარალოთ არ უნდა ხდებოდეს, რადგან ცხოვრება და ომის გამოცთილება ნათლათ გვიჩვენებს, რომ კარგი წყობის ოფიცერი, რომელსაც არა აქვს სამხედრო მეცნიერული მომზადება, და აგრეთვე ოფიცერი, რომელიც ამ მხრივ კარგათაა მომზადებული, მაგრამ არა აქვს ეს თვისებები, არ იქნებიან ღირსეულნი თავის ადგილზე, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროსაც. ამგვარათ, სასკოლო მომზადებაში ამ ორ განყოფილებას შესაფერი ადგილი უნდა ქონდეს და შესაფერი სამოსწავლო საათები უნდა დაეთმოს. ასევე უნდა მოექცენ წყობის და სამხედრო მეცნიერულს მომზადებისათვის ქვეგანყოფილებებს შორის სამოსწავლო დროს განაწილებას.

წყობის მომზადების კურსი იმდენათ ფართო უნდა იყოს, რომ ჯარს მისცეს აღმზდელი, მასწავლებელი და წყობის უფროსი,—გუნდის ხელმძღვანელი.

ჯარის-კაცის აღმზდელ ოფიცრის მოსამზადებლათ საჭიროა: ა) სკოლის მოწაფენი გაეცნონ ქართველი ხალხის მსოფლმხედველობას საერთოდ და კერძოთ მის შტოებსაც (ქართლელებისას, იმერლებისას, გურულებისას და სხვა), ბ) გაეცნონ, როგორც ცალკე მებრძოლის, ისე ჯგუფის პსიხოლოგიას და ამას შემდეგ უნდა გაეცნონ სამხედრო პედაგოგიკის წესებს.

აღნიშნულ საკითხების შესახებ ცნობას, შევთანხმდეთ, დავარქვათ სამხედრო პედაგოგიკა.

სამხედრო პედაგოგიკა ერთი უმთავრესი საგანთაგანი უნდა იყოს სამხედრო სკოლაში. სამხედრო პედაგოგიკის დამუშავებული სახელმძღვანელო არ არსებობდა. ეხლა უნდა შევქმნათ იგი და ეს უნდა მივანდოთ გამოცდილ და მცოდნე პირს.

ჯარისკაცთა მასწავლებელის მოსამზადებლათ უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი აქსიომებით:

ა) ჯარისკაცს უნდა ასწავლო მაგალითებით, საგნობრივ და არა მოთხრობით.

ბ) ოფიცერი ყოველთვის მაგალითი უნდა იყოს ჯარისკაცისთვის.

ამგვარათ მოსწავლის პირად მომზადებას ვიწრო ფარგლები არ უნდა დაედოს.

კარგი გიმნასტი, კარგი მარჯვეთ რომ იხმარს თავის იარაღს და პასუხს გასცემს, როგორც მიწიერ, ისე ჰაერიდან წამოსულ მტერს, კარგი მსროლელი—აი ის იდეალი, რომელიც უნდა განახორციელოს სამხედრო სკოლამ. ჩვენ პროგრამას მივუმატებთ კიდევ: გიმნასტიკა-ვარჯიშობას. გიმნასტიკამ და ცალკეულმა მომზადებამ ოფიცერში უნდა გამოიმუშაოს ამას გარდა უსიტყვოთ ბრძანების ასრულება, რაც აუცილებელია ბრძოლის დროს. მანქანებზე ვარჯიშობა და საველე ვარჯიშობა ყოველდღიური უნდა იყოს, არა ნაკლებ ერთი საათისა. რაც შეეხება ცალკებრივ მომზადებას, მას შედარებით მეტი დრო უნდა მოხმარდეს.

ადგილებთან შეფარდების და სროლის სწავლა უნდა ხდებოდეს სკოლის კურსის საზაფხულო პერიოდში, მაგრამ განსაზღვრული დრო უნდა დაეთმოს ზამთარშიც. კარგი მსროლელი რომ იქნეს, მან უნდა იცოდეს თავის იარაღის თვისება და მისი შენახვა. ამ მხრივ ცოდნა სრულობრივი უნდა იყოს.

სამწკრივო სწავლამ ოფიცრები უნდა მოამზადოს უფროსებათ, რომელთაც შეეძლოთ კარგათ ხელმძღვანელობა ომის დროს. ამ დარგში მან ისეთი საფუძვლიანი პრაკტიკა უნდა მიიღოს, რომ ჯარში შესვლისათანავე ჯარისკაცის ნდობა უნდა დაიმსახუროს.

(გაგრძელება იქნება)

ი—ძე.

---

## ახალ ჯარის კაცთა სწავლების ვადა

მძიმე პირობებში ჩაისახა ჩვენი რესპუბლიკა. მძიმე და შფოთიანს ხანაში იწყებს იგი სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებას. წინ უდევს მას დიდი შემოქმედებითი მუშაობა. ამ მუშაობის მშვიდი მიმდინარეობა შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ტერიტორია სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ამა თუ იმ შემოსევის და არევისაგან.

ცხადია, ეს იქნება მიხწეული მხოლოთ მაშინ, როდესაც რესპუბლიკას ეყოლება ორგანიზაციულად მოწყობილი და გაწვრთნილი ჯარი. და რაც უფრო ადრე შევავსებთ ჩვენი ჯარების რიგებს განსწავლული ჯარის კაცებით, მით უფრო მეტის წარმატებით წავა წინ ჩვენი სახელმწიფოებრივი შენების პროცესი.

ამის მიხედვით ყველასთვის გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ახალ ჯარის კაცთა სწავლების ვ დას.

სწავლების ვადის უკიდურესობამდის შემოკლება უნდა შეადგენდეს უმთავრეს საზრუნავს ჯარის ხელმძღვანელთათვის.

სწავლების ვადის შემოკლებას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ომიანობის დროს, როდესაც ჯარის მომქმედმა ნაწილებმა შეიძლება მოითხოვონ სულ მოკლე ხანში შევსება, ან როდესაც შეიძლება აუცილებელ საჭიროებად გახდეს ჯარების ახალი ერთეულების შექმნა.

ამიტომ სიხარულით უნდა მივეგებოთ ყოველ ცდას და შრომას, რომელიც მიმართული იქნება

ახალი ჯარის კაცთა სწავლების ვადის შემოკლებისკენ.

ჩვენი ლაშქრის ერთ-ერთ ერთეულში უკვე შემოღებულია ახალ ჯარის კაცთა სწავლების ორკვირეული ვადა, რვაკვირეული სწავლების მაგივრათ.

ვადის შემოკლება ხორციელდება:

1) სავალდებულო ცნობათა კურსიდგან ყველა იმის ამოშლით, რაც ზედ მეტია და არ შაეფერება რესპუბლიკის ჯ. კაცს და

2) კურსის იმ გვარი განაწილებით, რომელიც შესაძლებელს ხდის სამწყობრო და სიტყვიერი მეცადინეობის ურთიერთულ ცდას განსაზღვრული ლოღიკური თანდათანობით.

სწავლების კურსი იმ გეგმით არის შედგენილი, რომ ერთი მხრით არ ღალავს ახალ ჯარის კაცს შესათვისებელ თეორიულ მასალის ერთფეროვანება და მეორე მხრით საშვალებას აძლევს შეისვენოს ხოლმე მისთვის უჩვევი ფიზიკური ვარჯიშობის დროს.

8-კვირეულ სწავლებიდგან 2-კვირეულზე გადასვლა კიდევ იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ჩვენი ხალხი შედარებით უფრო მაღლა სდგას გონებრივი განვითარებით.

ახალ ჯ. კაცის სწავლების 2-კვირეული კურსის განაწილება, რომლის ტაბელი ამასთან დართულია მის ავტორის, სამხედრო ინსტრუქტორის, პოლკოვნიკის ართმელაძის ნებართვით, უვვე გამოცდილი და დამტკიცებული. მას საქმით ძალიან სასურველი შედეგები მოაქვს*).

ახალ ჯ. კაცთა სწავლებასთან ახლო მდგომ პირთ ვურჩევთ თვითონაც სცადონ ორკვირეული სწავლების სისტემა და შედეგების შესახებ გაგვიზიარონ თვისი აზრი ჩვენი ჟურნალის საშუალებით.

**გენ. იმნაძე.**

---

## საქართველოს მთავრობის განცხადებიდან.

ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები მშვიდობიანობის დასაცველად და სამხედრო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, და ეს მის შემდეგაც, რაც სამშობლოს დამცველ ჯარისკაცთაგან რამდენიმე ათეული მუხანათურად გაჟლიტეს და ტყვედ წაიყვანეს! და ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვსურდა და გვსურს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთად ომის საბოლოოდ მოსპობა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცება.

სამწუხაროდ, მეზობელ რესპუბლიკის მეთაურები ფეხქვეშ სთელავენ დემოკრატიულ საუკეთესო ტრადიციებს, ორივე სახელმწიფო ანარქიის გაძლიერებით ემუქრებიან, მათ კულტურას ძირს უთხრიან და მსოფლიო ომის დამთავრებისას ახალი ომის აჩრდილს იწვევენ.

საქართველოს მთავრობას ამ დანაშაულში არავითარი მონაწილეობა არ მიუძღვის, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მთავრობას.

მაგრამ სამხედრო მოქმედება უკვე დაიწყო.

წინასწარ დარაზმული სომხეთის ჯარები ჩვენ დაბასოფლებს ემუქრებიან.

რომ თავიდან ავიცდინოთ ქვეყნის აოხრება, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ ვსცანით ფართო სამხედრო ზომების მიღება.

ყველა მოქალაქე, განურჩევლათ სარწმუნოება — ეროვნებისა, ვალდებულია შეასრულოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

**მოქალაქენო!**

საქართველოს ხალხი მუდამ ცნობილი იყო თავის რაინდობით და მოქალაქეობრივ უფლებათა შეგნებით.

ჩვენ მივმართავთ მოქალაქეთა ამ გრძნობებს დაიმედებული, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში სამხედრო მოქმედების დროსაც-კი მტკიცეთ დაცულ იქნება ყველა მცხოვრებთა, განურჩევლათ ეროვნება სარწმუნოებისა, უფლებანი.

სამხედრო მოქმედების დაწყებით ანარქიის გაჩაღებას ცდილობენ. არ წამოეგოთ ჩვენი რესპუბლიკის მტერთა ანკესზე! დაიცავით სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი!

დეე იცოდეს თვითეულმა მოქალაქემ, რომ საქართველოს მთავრობა ებრძვის არა სომხის ერს, არამედ ერევნის იმ სამხედრო ჯგუფს, რომელმაც ძმათა სისხლის ღვრა გამოიწვია!

საქართველოს დემოკრატია მომხდურთ, მთელ თავის ძალ-ღონეს დაუპირდაპირებს, და ფეხქვეშ გათელილ სამართლიანობას სულ ახლო მომავალში აღადგენს და აიძულებს მოწინააღმდეგეს იცნოს დემოკრატიის მიერ წამოყენებული პრინციპი — სადაო კითხვები სახელმწიფოთა შორის გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი მორიგებით და არა ხმლით.

---

## საფრანგეთის მთავარი შტაბი.

**(ისტორიული შენიშვნა).**

შტაბებს უწოდებენ განსაკუთრებულ სამხედრო ორგანოებს, რომელთაც ვალათ ადევთ მიმართულება მისცენ, ხორცი შეასხან უფროსთა ბრძანებებს და მით ხელი შეუწყონ მათს ცხოვრებაში გატარებას.

გერმანიის სამხედრო ავტორიტეტი კლაუსევიცი ამბობს: შტაბის მოვალეობაა ბრძანებათ აქციოს სარდლის იდეა და არა შეატყობინოს მხილით იგი ჯარებს. მან უნდა დაიმუშავოს იგი ყოველ მხრივ და მით ააცილოს სარდალს ყოველ წვრილმანზე ზრუნვა. შტაბი აქვს არმიას, კორპუსს, დივიზიას და ბრიგადას. შტაბი შესდგება სხვა და სხვა ხარისხისა სპეციალობის ოფიცერთაგან.

შტაბის აღმოცენება ახალი ისტორიის უკანასკნელ ხანებს უნდა ვაკუთნოთ, მაგრამ მათ ნასახებს თუ ელემენტებს ძველს ისტორიაშიაც ვხედავთ. საბერძნეთში და მაკედონიაში პოლემარხებსა და მეკეებს თან ახლდენ ოფიცრები, რომელთა ფუნქციები ძალიან წააგავდენ დღევანდელი შტაბის ოფიცრების ფუნქციებს. ასეთი ოფიცრები დიდს სამსახურს უწევდენ მაკედონიის ჯარს ინდოეთის ლაშქრობის დროს გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და სხვა კვლევა-ძიებით. რომაულ ლეგიონში არსებული თანამდებობა **xriunuz mieihun**-ისა უკვე სავსებით უდრიდა შტაბის უფროსის თანამდებობას. რესპუბლიკის დაცემის შემდეგ იგი მოისპო,

*) იხ. „ორკვირეული სავარჯიშო გეგმა“ სამხედრო ინსტრუქტორის პოლკ. ართმელაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ტრიბუნების მაგიერ სარდლებს მაინც ჰყავდათ გვერდით სპეციალი ცოდნით აღჭურვილი ოფიცრები, რომელნიც თავის ფუნქციებით ჩვენს შტაბის ოფიცრებს უდრიდენ. მას შემდეგ რაც რომის იმპერიის ნანგრევებზე ბარბაროსები გაბატონდენ კულტურაც დაეცა და სამხედრო ხელოვნებაც. საშუალ-საუკუნოებში ჩვენ ვერას ვპოებთ ისეთს, რაიცა დღევანდელ შტაბს მოგვაგონებდეს.

საფრანგეთის ახალს ისტორიაში პირველათ თუ მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას კახეტაბლი, რომელიც დაახლოებით დღევანდელ შტაბის გენერლის ფუნქციებს ასრულებდა თავის ხელქვეთი სპეციალური ოფიცერთა წრის დახმარებით. ლუი მე-XI დროს არტილლერია განსაკუთრებულ ნაწილათ შევიდა ჯარში. მას დაენიშნა საკუთარი მთავარ-გამგე, რომელსაც თანაშემწეების გარდა ოფიცერ-ტეხნიკოსთა ჯგუფიც ჰყავდა დამხმარეთ. მაშინ ინფანტერიამ და კავალერიამაც მოითხოვა საკუთარი შტაბები.

გენრიხ მე-4 დროს პიონერებსაც დაენიშნათ საკუთარი გამგეობა. ამ გვარათ ყოველ იარაღის გვამს საკუთარი ავტონომიური შტაბი უნდა ჰქონოდა. შემდეგში დანაწილება მართლაც უფრო ვრცელი ხთება. ფრანსუა პირველის დროს არსდება ცალკე შტაბი ინფანტერიისათვის, კარლ IX დროს კავალერიისათვის, ლუი მე-XIV დროს დრაგონებისა და ჰუსარებისათვისაც.

რამდენათ იზრდება გვარის რიცხვი, იმდენათ რთულდება მისი ორგანიზაცია, ასეთ პირობებში აუცილებელი ხთება სარდლების განთავისუფლება ყოველი წვრიმალისათვის პასუხისმგებლობისაგან. აი ეს აუცილებლობა ედება სარჩულათ მთავარი შტაბის წარმოშობას. 1673 წელს ლუვუა მართლაც ქმნის მთავარ შტაბს და ასეთ სახეს აძლევს მას.

იგი აარსებს მთავარ კვარტირმეისტერის ინფანტერიის და კავალერიის მთავარმართველების თანამდებობებს. ეს პირები და მათი თანაშემწეები შეადგენდენ არმიის შტაბს. მთავარ-კვარტირმეისტერს უნდა ეზრუნა ჯარის სურსათზე და დაბინავებაზე, ინფანტერიის უფროსს ევალებოდა ქვეითი ჯარის გაწვრთნა, კავალერიისას კი ცხენოსანი ჯარისა. უკანასკნელი უფროსობდა აგრეთვე არტილლერიის და პიონერების შტაბებს. ამ ორგანიზაციას დიდი ხნის სიცოცხლე არ ჰქონია, მან მხოლოთ ლუი მე-XVI მეფობის დასაწყისამდე იარსება. 1763 წელს მისი ნასახიც აღარ არსებობდა. მთავრობამ გადასწყვიტა შესაფერ რეფორმებს შეხდგომოდა, მაგრამ სამხედრო მინისტრი შუაზელი, წინაღუდგა ამას, რადგან ის მთავარი გამგის მეტოქეობას უფრთხოდა.

1790 წელს ნაციონალური კრებულის დეკრეტის ძალით ხელახლა იქმნა შექმნილი მთავარი შტაბი რომელიც წინანდელებზე უფრო წააგავდა ნამდვილ მთავარ შტაბს. იგი შეხდგებოდა: პოლკოვნიკებისაგან, კოლონელების კაპიტნებისა ან ლეიტენანტებისაგან საუბედუროთ ეს შტაბი არ წარმოადგენდა (შედგენილობით მაინც) სავსებით გამოცალკევებულ ორგანოს, რადგან მასში მომსახურე ოფიცრები მოვალენი იყვნენ, რაზმებში ემსახურნათ სანამ მაღალი ხარისხს ეღირსებოდენ. ამასთანავე იგი მეტათ ნაჩქარებათ იყო შედგენილი, ვერაფერი უნარი გამოიჩინა და ამიტომ სამხედრო მინისტრის ბრძანებით განახლებულ იქმნა.

. 1792 წელს გამოიცა რეგლამენტი, რომელიც აღრიცხავდა შტაბის ოფიცრების მოვალეობათ. რეგლამენტის ძალით ინჟენერ-ოფიცრებს ანუ პიონერებს ევალებოდათ მტრის აღმოჩენა და დაზვერა, ინჟენერ-გეოგრაფებს ადგილმდებარე ომის დაზვერა და კარტების ან პლანების შედგენა. შტაბის გამგე ამ დროს ცნობილი კარნო იყო. ის კარნო, რომელსაც ,,გამარჯვებათა წინდაწინ მომწყობი'' უწოდა ისტორიამ. მასვე ჩააბარა კონვენტმა ლუვუასაგან დაარსებული და შემდეგ გადაკეთებული სამხედრო დეპოს უფროსობა. იმპერიის აღორძინების ხანაში მთავარმა შტაბმა დაჰკარგა თავის მნიშვნელობა, მიუხედავათ იმისა, რომ იგი დარჩა, როგორც სამხედრო დაწესებულება. თუმცა ყოველ არმიას ჰყავდა თავის შტაბი. თუმცა არსებობდა მთავარი შტაბიც, მაგრამ მათი შედგენილობა სრულიათ შემთხვევითი იყო, ვისაც ნაპოლეონი ან მისი სარდალი დაადებდა თითს, ის მოხვდებოდა შესაფერ შტაბში, თვით ბერტიეც ნაკლებათ წააგავდა მთავარ შტაბის უფროსს. საერთოთ, შტაბების იმპერიის ხანაში თითქოს მარტო ბრძანების და დეპეშების გაგზავნა შეიქნა.

---

## გლეხთა მოძრაობა სამურზაყანოში.

სამურზაყანო ერთი უმდიდრესი და უმშვენიერესი კუთხეა საქართველოსი. მის სიმდიდრეს განსაკუთრებით თხილი და თუთუნი შეადგენს.

ძნელათ თუ იპოვით ისეთ ოჯახს, რომელსაც რამოდენიმე ქცევა მიწა არ ჰქონდეს თხილით გაშენებული ან რამდენიმე ასი ფუთი თუთუნი არ შემოსდიოდეს წელიწადში.

მიუხედავათ ამისა სამურზაყანოელი მაინც არ არის ნივთიერათ კმაყოფილი.

ამისი მიზეზი მრავალია და მათ შორის უმთავრესად უნდა ჩაითვალოს გზების უქონლობა და ბაზრის სიშორე, სადაც დამუშავებული თუთუნის ან თხილის გასაღება შეიძლება.

მიუხედავათ იმისა, რომ სამურზაყანოელს სიზარმაცეს ვერ დასწამებთ, ნაყოფი მისი მუშაობის მეტათ მცირეა, რადგანაც მუშაობა მეტათ პრიმიტიულის საშვალებით სწარმოებს. კულტურული ჩამორჩენილობა ამ კუთხისა ერთობ დიდია.

შკოლების უქონლობამ, მონარქისტული მთავრობის ხანგრძლივმა გამარუსებელმა პოლიტიკამ სამურზაყანოელს გაუნათლებლობის დაღი დაასვა.

სამურზაყანოში ვხედავთ ყველა იმ ნიშნებს, რომლებიც ახასიათებენ კულტურულათ ჩამორჩენილ ხალხს.

მაგალითად სამურზაყანოში სისხლის აღების ადათი იმდენად ძლიერია რომ მისი დარღვევა ხშირათ განათლებულ სამურზაყანოელსაც უჭირს.

გაუტანლობა, მტრობა, ადამიანის პიროვნების დაუფასებლობა და სხ. ხშირი მოვლენაა და ერთ გვარ თანაგრძნობასაც პოულობს

არ არის შეგნებული ელემენტარული მოვალეობანი ურთიერთშორის დამოკიდებულებაში. ერთმანეთთან განწყობილება მხოლოდ ძალით განიზომება. ვინც ძლიერია — ის გავლენიანია.

ძალის წინაშე ქედის მოხრა უაღრესი დამახასიათებელი თვისებაა სამურზაყანოელის. საუბედუროთ, კულტურულ ძალას არავითარი მნიშვნელობა არა-აქვს, ძალა ფიზიკური, ქონებრივი აი რა არის პატივსადები საგანი მისთვის. ასეთ ძალას კი სამურზაყანოში წარმოადგენენ ძველი მემამულე თავადიშვილები, რომლებსაც დღესაც უძახის გლეხობა ,,კნიაზს'' ,,ვაშე სიატელსტვო'', და სხვა მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტიურადაც და იურიდიულადაც დიდი ხანია მოისპო წოდებრივი ბატონობა საქართველოს ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურობა კი წარმოადგენს დაქვეითებულ ჩამორჩენილ წოდებას, რომელსაც არც სურვილი აქვს და მით უფრო არც შეძლება, ხალხში შეიტანოს განათლება და კეთილი რჩევა დარიგებით და სწავლით უხელმძღვანელოს სამურზაყანოს მშრომელ მასას. თავად აზნაურობის როლი სამურზაყანოს დაქვეითებაში დიდია—და ასეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვის მათი მოძრაობის გაღრმავებაში, რომელსაც ,,სამურზაყანოს ბოლშევიზმს" ეძახიან.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ სამურზაყანოს გლეხთა მოძრაობა სულ სხვა ხასიათისაა ვიდრე დუშეთის ან გორის.

თუ დუშეთში მოძრაობას ხელმძღვანელობდენ გზა აბნეული ბოლშევიკები, მეთაურებათ გამოდიოდენ სხვა ერების წარმომადგენელნი, სამურზაყანოში გლეხთა მოძრაობას ადგილობრივ თავად-აზნაურთა მოქმედების ბეჭედი აზის.

თავისი დრო მოჭმული უპირატესობის შესანარჩუნებლათ, ძველ ბატონობის გასამტკიცებლათ და მშრომელთა ძველებურათ დამონების მიზნით სამურზაყანოს თავად-აზნაურობა არ დაერიდა უდიდესი დანაშაულის ჩადენას სამურზაყანოელი გლეხის ღალატს და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყების მოწყობას.

სამურზაყანოს თავადობამ კარგათ იცოდა, რომ პირდაპირის საშვალებით ფონს ვერ გავიდოდა. საქართველოს რესპუბლიკის დროებითი სისუსტით უნდოდა ესარგებლა: იმ დროს, როდესაც ერთი ნაწილი მათი ალ. შერვაშიძის მეთაურობით ოსმალთა ურდოებს ეპატიჟებოდა, მეორე წინ და წინვე შედგენილი გეგმით ადგილობრივ ასრულებდა თავის საგმირო საქმეს. აჩაღებდა მოქალაქობრივ ომს, რომ მით სულ სხვა მხარისაკენ მიექცია ხალხის ყურადღება და მისთვის მოულოდნელათ ჩაეცა ლახვარი ზურგში.

მოქალაქობრივი ომი, ძმათა ჟლეტა—ხომ დაასუსტებს სამურზაყანოს.

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ალ: შარვაშიძემ ასკერთა საშვალებით მოისურვა თამასუქების განადგება მაგრამ თავადები დამარცხდენ, დამარცხდენ ერგვარათ: ბრძოლის ველზე—გარეშე მტერთან—საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან ბრძოლაში და მინაურ ფრონტზეც, რადგანაც სამურზაყანოელ გლეხს მეხივით თავს დაეცა თურქთა შემოსევა და ისიც მიხვდა თუ რას უპირებდა მას მოღალატე თავადობა. ხიდი ჩატყდა; თავად-აზნაურობის ნდობა სამუდამოთ დაიკარგა.

თავადობა შეშოშმინდა. მას ახლა საშიშროება წამოეტუზა თვალწინ ეს გახლდათ გლეხების მიერ სამაგიეროს გადახთის შიში; შეშინებულნი სათადარიგო ზომებს შეუდგა

რომ საკუთარ საქმისთვის კანონიერი სახე მიეცა —მთავრობის დამცველი რაზმი შეადგინეს, რომელიც სულ ერთიანად თავად-აზნაურებისგან შესდგა.

თავად აზნაურობამ ააჯანყა ხალხი და როდესაც დაინახა რომ გამოჩხრიკა თავის დასაკლავი დანა, თვითონვე შეუდგა საქმის მოგვარებას! ერთი ნაწილი თავადებისა „მთავრობის დამცველი" რაზმში ,,მოღვაწეობს" მეორე კი ყაჩაღებს უმეგობრდება ერთის მხრით საქართველოს მთავრობას ერთგულებაში ეფიცებიან, მეორე მხრით ოსმალოებს ეპატიჟებიან. ესეც ცოტაა.

დენიკინის ჯარსაც სამურზაყანოელი თავადობა დიდის იმედით უცქერის; დამოუკიდებელ სამურზაყანოს მომხრეებსაც შეხვდებით ბრწყინვალეთა წრეში.

ერთის სიტყვით ყველასთან კავშირი, თვით ეშმაკთანაც კი მეგობრობა, ოღონდ საქართველოსთან მოხპონ ყოველგვარი დამოკიდებულება

აქ კი ყველაფერი აშკარავდება.

საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას გარკვეული პროგრამა აქვს—ცხოვრებაში გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, ძირიან ფესვიანად მოსპოს ყოველი ნაშთი ძველი დახავსებული წესწყობილების.

ასეთი პროგრამა, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკებათ თავადებს ყოველგვარი ორიენტაცია იხსნის. დრო-მოჭმულ თავადების გარდა საქართველოზე ორიენტაციისა.

დენიკინი, ოსმალეთი, დამოუკიდებელი სამურზაყანო—ეს ის პირობებია, რომელიც ძალა-უფლებას თავადობას შეანარჩუნებს.

ასეთი იყო პირობები, როდესაც გენ. გედევანიშვილის რაზმი ეწვია სამურზაყანოს.

პოდპორუჩიკი **იოსავა.**

---

## საქართველოს პარლამენტის სამხედრო კომისიაში.

საპარლამენტო სამხედრო კომისიის ჩვეულებრივი მუშაობა, სანაინთან მომხდარ ამბების გამო, დროებით შესწყდა. დღეს მთელი ყურადღება კომისიისა მიქცეულია რესპუბლიკის სამხედრო მოქმედებისაკენ.

შემოსული სამხედრო კანონპროექტების განხილვა გადაიდო. განზრახულია მოხდეს შეერთებული სხდომა კომისიისა და მთავრობის. ამ კრებას მიზნად აქვს გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რომელიც საჭიროა მტრის ასალაგმავად.

განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ჯარის მატერიალური მდგომარეობა. ამ მიზნით შეერთებულ სხდომაზე სამხედრო მინისტრი წაიკითხავს შესაფერ მოხსენებას.

ასეთივე მოხსენებას წაიკითხავენ: სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. მდივანი, ჯარის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი გენ. ყიფშიძე და სასანიტარო ინსპექციის უფროსი ბ-ნი მესხიშვილი.

აღნიშნულ სხდომაზე მოწვეულია აგრეთვე ჩვენი ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში ბ-ნი ს. მდივანი, რომელიც გააცნობს კრებას სომხეთის საერთო მდგომარეობას.

---

## საზღვარ-გარეთ და ჩვენში.

დღევანდელ ცხოვრებაში რეგულიარულ ჯარს აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ გვინდა ფიზიკურ განადგურებას გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო. როგორც მკითხველებს მოეხსენება, გარს ყვავ-ყორნებივით შემოგვესია მტერი და ცთილობს ჩვენ განადგურებას. აი, სწორედ ამიტომ იყო რომ ჩვენმა მთავრობამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია და ჯარის შექმნაში დიდი ენერგია გამოიჩინა.

როგორ აწყობენ ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოები ჯარს—ეს კითხვა ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესოთ მიგვაჩნია. დავიწყოთ თუნდ პატარა დანიიდან.

დანიის მეფემ 1910 წ. დაამტკიცა კანონი, რომ დანიაში რეგულიარულ ჯარის შექმნას უაღრეს მნიშვნელობას ანიჭებს, თვით ჯარის ორგანიზაცია შემდეგნაირათ. ქვეითა

ჯარი იქ შესდგება: რამოდენიმე ქვეითა ბრიგადისაგან, თიფოეულს ბრიგადაში არის ორი რაზმი, თითეულს რაზმში კი არის სამ-სამი ათასეული; რვა ქვეითა რაზმები, სამ-სამი ბათალიონით. ლეიბ გვარდია (ერთი სანაპირო და ერთი სათადარიგო ბათალიონით). ხუთი სათადარიგო რაზმი, რომლებიც შესდგება ოთხ-ოთხი ბათალიონისაგან.

ბათალიონში არის ოთხი ასეული. ამათგან 22 ბათალიონი და ლეიბ გვარდია დგას ზელანდიაში; ხოლო რვა სანაპირო და რვა სათადარიგო ბათალიონი კი დგას ფიუნენში და იუტლანდიაში. ჯარის კაცები ქვეითა ნაწილებში სამსახურში შედიან აპრილის დასაწყისში, სასწავლო დრო ქვეითა ჯარისათვის 165 დღეა. 6 % ახალ გაზრდა ჯარის კაცებისა 165 დღის სწავლის შემდეგ გადადიან ნაცვალთა სკოლაში, 8 ½ თვეს სწავლის შემდეგ თუ უნდათ მიიღონ კარნეტის ხარისხი 12 თვე დარჩებიან აქვე. საქმის მცოდნე პოდპორუჩიკობა. (პირველი ხარისხია ოფიცრისა დანიაში). ცხენოსანთა ჯარი შესდგება ორი რაზმისაგან, ოთხ-ოთხი ესკადრონით ორი ცხენოსანთა რაზმი, რომელიც შესდგება ორი სანაპირო და ორი სათადარიგო ესკადრონისაგან და საბარგო დივიზიონი სამი ასეული. ნამდვილი სამსახური ცხენოსანთა ჯარის კაცისათვის არის დაწესებული 340 დღე.

არტილერია შესდგება: ორი საველე რაზმისაგან ორ-ორი დივიზიონით; ორი განსაკუთრებული დივიზიონი, თითოეულს დივიზიონში 4 ბატარეია არის.

საინჟინერო ჯარი შესდგება: სასაპიორო რაზმისაგან სამი ბათალიონით, ორი სათადარიგო სასაპიორო ასეული და ორი საინჟინერო ინსპექციით. განსაკუთრებულ ტეხნიკური კორპუსს კი შეადგენს ფელდცეიხმეისტერი, 21 ოფიცრით, სამი დირექტორით, 4 თანაშემწე, 40 ნაცვლის 19 მოხელის, 21 თანაშემწე და 74 ტეხნიკური მცოდნე ჯარის კაცი. როგორც სჩანს წინედ თუ 8 ბათალიონი იყო, ეხლა 23 ბათალიონია.

პატარა დანიამ თუ ასეთი ყურადღება მიაქცია ჯარის შექმნას და იმის რიცხვის გამრავლებას, საქართველოშიდაც ამ გარემოებას დიდი ყურადღებით უნდა მოვექცეთ.

ალ. გორგაძე:

---

# ქრონიკა.

სომხეთის მთავრობამ ჩვენს მთავრობას მოთხოვნა წარმოუდგინა ბორჩალოს და ახალ ქალაქის მაზრებიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ამის გამო უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე ჩვენმა მთავრობამ პროტესტი განაცხადა. გამოქვეყნდა დიპლომატიური მოლაპარაკება ჩვენსა და სომხეთის მთავრობის შორის.

— —

საქართველოში მობილიზაცია გამოცხადდა. ჯარში იწვევენ **1892, 1893, 1894** და **1895** წლებში დაბადებულთ.

— —

სანაინთან ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის მიერ შემორტყმული წრე.

— —

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა მიმართა პროვინციის შტაბებს, რათა მათ რაზმები თფილისში გაგზავნონ.

— —

გუშინ, **17** დეკემბერს, პარლამენტში მთავრობის სახელით ნოე ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა საქართველო-სომხეთის დამოკიდებულების შესახებ. მთელი პარლამენტი ერთსულოვანი თანაგრძნობით შეეგება მას.

— —

თფილისში მობილიზაციის პირველ დღეთ 18 დეკემბერი გამოცხადდა. სამხედრო უფროსი მოუწოდებს ჯარისკაცებს გამოცხადდენ ვაგზლის ქუჩაზე, სადგურის პირდაპირ, თამამშევის სახლში, დილის 8 საათ. საღამოს 16 საათამდე.

— —

თფილისის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით დახურულ იქნა გაზეთები: ,,კავკაზსკოე სლოვო'', ,,აშხატავორი'' და ,,ნორ ჰორიზონი''.

— —

სანაინის მიმართულებით, სოფ. ეკატერინფელდთან, 19 დეკემბერს, ჩვენმა სახალხო გვარდიამ სასტიკად დაამარცხა სომხის ჯარი. ტყვეთ წამოიყვანა ბათალიონის უფროსი, რამდენიმე აფიცერი და ჯარისკაცები. მტერი გაიქცა. გვარდია დაედევნა. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიელი ამხ. სანდრო მაისურაძე.

— —

სანაინის ფრონტიდან თფილისში ჩამოიყვანეს ტყვე სომხების პირველი პარტია. სადახლოსთან 18 დეკემბერს დილით ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში, მოუკლა **3** ოფიცერი, ტყვეთ წამოიყვანა **37** შეიარაღებული ჯარისკაცი და **2** ოფიცერი.

— —

ახალციხე ახალქალაქში ჩვენი ჯარის შესვლის შემდეგ იქიდან გაქცეულმა რამდენიმე ბეგმა ბათუმში თავი ამ მაზრების დროებით კომისარიატათ გამოაცხადა და ინგლისელებს მემორანდუმით მიმართა. მათ მეთაურობს ადერბეიჯანელი ექიმი ვფენდიევი.

— —

ლოიდ ჯორჯი მოითხოვს იძულებით ჯარში გაწვევის გაუქმებას.

— —

რუსეთიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით გერმანიაში გატანილი **320** მილიონი ფრანკი ოქრო გადატანილ იქნა პარიზის ბანკში.

— —

მარშალი ფოში არ სცნობს გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს.

— —

მდ. რეინზე გადასული ინგლისის ჯარი კელნის სიმაგრის ოკუპაციას შეუდგა. ამერიკის ჯარმა კობლანცის სიმაგრე დაიპყრო.

— —

ბავარიას მოკავშირეთა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აქვს გამართული სეპარატიული შეთანხმების შესახებ.

— —

ვორონეჟის რაიონში, ნოვოხოპერის მიმართულებით, დონის ყაზახებმა ბალშევიკები დაამარცხეს.

— —

ბალშევიკების ჯარები, 10 დივიზიისაგან შემდგარი, გერმანიის საზღვრებს უახლოვდება; ბოლშევიკებს იმედი აქვთ, რომ საზღვარზე მათ შეუერთდება გერმანიის უკიდურესი სოციალ-დემოკრატები.

— —

ვილსონმა სოციალისტებს განუცხადა, რომ კაცობრიობა მშვიდობიანობის დამყარებას შესძლებს ხალხთა ლიგის დაარსებითო.

2) Ное Жордания
3)

ფასი 1 მ. 50 კ.